

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №8**

16.11.2015

ქ.თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)
წევრები:**

ირინა აბულაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე; (შემდგომში - თავმჯდომარე)
თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი; (შემდგომში - მდივანი)
რევაზ აფხაზაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი;
გიორგი გიგინეიძე - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი;
მარინა უშვერიძე - PH International სამოქალაქო განათლების პროგრამების ხელმძღვანელი;
ნინო კოდუა - სსიპ - ქალაქ თბილისის №55 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;
ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
წარმომადგენლები:**

თამარ ზაალიშვილი - ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ლიკა გიორგაძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
ქეთევან ბექერ - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს სკოლა ჩირაღდნის წარმომადგენელი:
დავით კაპანაძე - დირექტორი.

შპს ფრანგული სკოლის წარმომადგენლები:
ლუიზა თუთარაშვილი - დირექტორი;
მაია დევაძე - დირექტორის მოადგილე.

ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის წარმომადგენლები:

დეკანოზი მათე (გორდელაძე) - დირექტორი;
ნინო გოგეშვილი - დირექტორის მოადგილე;
რუსუდან კვირკველია - დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.

ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის წარმომადგენლები:

მაია ონიანი - სასწავლო ნაწილის გამგე;
დეკანოზი ზურაბ (სუბელიანი) - პრორექტორი სასულიერო საგნების სწავლების დარგში;
ნაზი თედორაძე - აღზრდისა და მასობრივი მუშაობის მენეჯერი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

ნელი ნასყიდაშვილი;
ნოდარ ანგურიძე;
დავით ჭეიშვილი;
ირინა დვალი;
ქეთევან რეხვიაშვილი;
ქეთევან ბოტკოველი.

სხვა დამსწრე პირები:

მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი) - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრის ხელმძღვანელი;
ლაშა ჩეკურიშვილი - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრის იურისტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომას წარუძღვა რევაზ აფხაზავა.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა 15:35 საათზე. თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს სკოლა ჩირაღდანში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ფრანგულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს სკოლა ჩირალდანში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ნოდარ ანგურიძემ და ნელი ნასყიდაშვილმა. დაწესებულებას სხდომაზე წარმოადგენდა სკოლის დამფუძნებელი და დირექტორი, დავით კაპანაძე. ექსპერტებმა საბჭოს წარუდგინეს დასკვნაში ასახული ხარვეზები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 საათობრივი ბადის მიხედვით გათვალისწინებული იყო ყველა სავალდებულო საგნის სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იყო სრული - არსებობდა მხოლოდ ზოგიერთი კლასის ზოგიერთი საგნის სასწავლო მასალის ჩამონათვალი.

1.2 სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო სასწავლო პროგრამები შემდეგ საგნებში:

ქართული ენა და ლიტერატურა - III კლასი, რომელიც 1 გვერდს მოიცავდა

მე და საზოგადოება - V, VI კლასები, თითო-თითო გვერდს მოიცავდა

მათემატიკა - II, III, X, XI კლასები - 1 გვ.

ინგლისური ენა - I, II, V, X, XI კლასები - 1 გვ.

სპორტი - I, II, V, VI, VII, VIII, IX, X, XI, XII კლასები - 1 გვ.

ბუნებისმეტყველება - I, III, V, VI კლასები - 1 გვ.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება - VIII კლასი

ისტორია - VII-XII კლასებში

სამოქალაქო განათლება - IX, X კლასებში.

ექსპერტების შეფასებით, აღნიშნული პროგრამები არ შეიცავდა ინფორმაციას მოსწავლის შეფასების პრინციპების, წლის ბოლოს მისაღწევი შედეგების, შემაჯამებელი დავალებების, სასწავლო რესურსების შესახებ და ა.შ. მეორე და მესამე კლასებში სპორტის სწავლება არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რადგან ზამთარში I-IV კლასელებს უტარდებოდათ ჭადრაკი, სხვა დროს I-VI კლასელებს უტარდებოდათ სპორტის გაკვეთილები. ამდენად, წარმოდგენილი სილაბუსები არ იძლეოდა საშუალებას, მოსწავლეებს შეეძინათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

ექსპერტებმა დაამატეს, რომ სკოლის პედაგოგი, ირინე ბიკაშვილი ასწავლიდა დაწყებით II კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურას, მათემატიკას, ბუნებისმეტყველებას, მუსიკას, აგრეთვე სახვით და გამოყენებით ხელოვნებას II, IV, V, VI, VII, VIII და IX კლასებში, ამავე დროს იყო სკოლის ბიბლიოთეკარი და სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებელი, რაც ექსპერტთა შეფასებით, ეჭვქვეშ აყენებდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

დაწესებულებამ წარმოადგინა ფიზიკურ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება სპორტული დარბაზის დროებით სარგებლობაში მიღების შესახებ, რომლის თანახმადაც, სკოლა „ჩირადდანა“ 10 თვის ვადით სარგებლობაში აიღო სპორტული დარბაზი, დღის 10-დან 13 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა, თუმცა სპორტის გაკვეთილები სკოლას ჩასმული ჰქონდა შაბათ დღესაც მე-10 კლასის გაკვეთილების ცხრილში, აგრეთვე 13 საათის შემდეგაც მე-7 გაკვეთილებად. ამდენად, ეჭვქვეშ დგება მოსწავლეთა მიერ სპორტის სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენა.

1.3 სკოლას არ წარმოუდგენია მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალების ხელშეწყობი მექანიზმები, რომელთა განხორციელება არ დადასტურდა არც მასწავლებლებთან და არც მოსწავლეებთან გასაუბრებისას.

2. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

2.1 სკოლის დათვალიერებისას 13 საკლასო ოთახში რეალურად აღმოჩნდა 79 ორადგილიანი მერხი, 15 ერთადგილიანი მერხი და 187 სკამი. აღსანიშნავია, რომ სკოლამ წარმოადგინა დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, რომლის მიხედვითაც სკოლა ფლობს 39 ერთადგილიან, 210 ორადგილიან მერხს და 280 სკამს. ამჟამად სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 156-ს. ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 13 აგვისტოს N137 გადაწყვეტილებით მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვრა 563-ით.

სკოლას საწყობში ჰქონდა მწყობრიდან გამოსული მერხების (კარკასები) გარკვეული რაოდენობა, რომელთა აღდგენა შესაძლებელი იყო და ამის შესახებ ხელშეკრულებაც ჰქონდა გაფორმებული ერთ-ერთ ინდ. მეწარმესთან, თუმცა წინასწარ შეუძლებელი იყო იმის დადგენა, რამდენი მერხის აღდგენას შეძლებდა დაწესებულება.

2.2 სკოლას ჰქონდა 8 კომპიუტერი, რომლებიც ჩართული იყო ინტერნეტში. სკოლის ვებგვერდი www.chiragdani.ge ვიზიტის დროს არ მუშაობდა, სკოლის დირექტორის განმარტებით, რეორგანიზაციის გამო. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას მოსწავლეთა კონტინგენტი განსაზღვრული ჰქონდა 563-ით, კომპიუტერების არსებული რაოდენობა არ იყო საკმარისი ამ რაოდენობის მოსწავლეების მომსახურებისთვის.

2.3 დაწესებულებას ჰქონდა ერთი ძირითადი შესასვლელი, სადაც ორი გარე კამერის ნაცვლად დაყენებული იყო ერთი კამერა, რომლის გამოსახულების ჩაწერაც ხდებოდა სათანადოდ და აისახებოდა დირექტორის კაბინეტში არსებულ მონიტორზე. სკოლას ჰქონდა კიდევ ერთი კამერა, რომელიც გათვალისწინებული იყო გარე პერიმეტრისთვის, მაგრამ ვიზიტის პერიოდისთვის ჯერ არ იყო დამონტაჟებული.

3. ადამიანურ რესურსებთან მიმართებით:

3.1 სკოლაში სასწავლო გარემოს შექმნას ემსახურებოდა 36 ადამიანი, მათგან 28 მასწავლებელი იყო. სკოლის ადამიანური რესურსის პირად საქმეში შედიოდა პირადობის მოწმობის ასლი, ბრძანება მისი თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, CV, შრომითი ხელშეკრულება, ნოტარიუსის მიერ დამტკიცებული დიპლომის ასლი და არსებობის შემთხვევაში, მასწავლებლის სერტიფიკატი.

სკოლას არ წარმოუდგენია ინფორმაციული ტექნოლოგიების მასწავლებლის, ნინო მაჭავარიანის პირადი საქმე და დაწყებით კლასის მასწავლებლის ირადი ბაკაშვილის, როგორც დაწყებითი კლასების მასწავლებლობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა/სერტიფიკატი.

3.2 სკოლის პედაგოგს, ირინე ბიკაშვილს, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, მინიჭებული ჰქონდა ჟურნალისტიკის კვალიფიკაცია, რომლიდანაც

არ ირკვეოდა ჰქონდა თუ არა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაცია. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ან მისი კვალიფიკაციის ამაღლების რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ ყოფილა.

3.3 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებული იყო ხელშეკრულებები. შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, სკოლის პედაგოგს, ირინე ბიკაშვილს სკოლა ქირაობდა ხელოვნების მასწავლებლად და ბიბლიოთეკარად, მაგრამ ამ დროს ის ასწავლიდა დაწყებით კლასშიც, რის შესახებაც ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი.

მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები არ მოიცავდა ინფორმაციას შრომის კოდექსის „შრომითი ხელშეკრულებების არსებითი პირობების“ შესახებ, კერძოდ ე) შრომითი ანაზღაურების წესის შესახებ, თუ რა ფორმითა და როდის მოხდებოდა ხელფასის მიღება დაქირავებული მიერ, ვ) ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების წესის შესახებ, ზ) ანაზღაურებადი და არაანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობისა და შვებულების მიცემის შესახებ.

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით პედაგოგის ანაზღაურება ხდებოდა მასთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც ითვალისწინებდა სამუშაო დროს. შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, დაქირავებული დაქირავებულს შრომის ანაზღაურების სახით უხდიდა თანხას, რომელიც ურთიერთშეთანხმებული იყო ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, რომელიც აისახებოდა ტარიფიკაციაში. მუხლების 5.1 და 5.2 მიხედვით კი ხელფასი გაიცემოდა თვეში ერთხელ, გარდა ზაფხულის 3 თვისა. ტარიფიკაცია წარმოდგენილი არ ყოფილა. პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მათ ვერბალური შეთანხმება ჰქონდათ მათი შრომის ანაზღაურების ოდენობის შესახებ.

ექსპერტებმა დამატებით აღნიშნეს ერთი გარემოება, კერძოდ, სკოლაში ვიზიტისას სკოლის დირექტორთან, ბატონ დავით კაპანაძესთან ინტერვიუებისას, მან თანხმობა განაცხადა წერილობით დაეწერა ის, რაც ექსპერტებთან საუბარში ბრძანა, კერძოდ, მან აღიარა, რომ მოსწავლე სალომე სილაგაძე, რომელიც გაცვლითი პროგრამით (Flex-ის პროგრამა) იმყოფებოდა საზღვარგარეთ, იქიდან დაბრუნების შემდეგ მე-12 კლასის გამოსაშვებ გამოცდებზე დაუშვა დარღვევით, რომლის წინაპირობებზეც საუბრობდა მის მიერ დაწერილ განმარტებით ბარათში.

სკოლა ჩირაღდანის დირექტორის, დავით კაპანაძის განმარტებით ბარათში მოცემული იყო:

სალომე სკოლიდან განხორციელებული სატელეფონო ზარის შემდეგ სკოლაში გამოცხადდა 2015 წლის 18 მაისს. მას ჩასაბარებელი ჰქონდა არაღიარებული საგნები ექსტერნის ფორმით. ამისთვის საჭრო იყო ამერიკიდან შესაბამისი დოკუმენტაცია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღიარების სამსახურის მიერ დამოწმებული. ვინაიდან აღნიშნული საბუთი არ არსებობდა ჩემ მიერ ვერ ჩატარდა აღნიშნული გამოცდები. ამის შესახებ მე მივმართე რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, თუ არ ვცდები 19 მაისს.

სალომე სილაგაძე დარეგისტრირებული იყო საატესტატო გამოცდებისთვის, ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება მისი გამოცდებზე დაშვებისა შემდეგი მიზეზებისა გამო:

- 1) არ ვიცოდი, თუ არსებობდა შანსი სხვა დროს საატესტატო გამოცდების ჩაბარებისა. ჩემთვის ცნობილია ეროვნულ გამოცდებზე არ არსებობს დამატებით გამოცდები.
- 2) მე-11 კლასის ზოგიერთი მოსწავლე ჯერ აბარებს საატესტატო გამოცდებს შემდეგ კი 30%-იანი გაცდენების გამო ექსტერნ გამოცდებს.

3) რადგან ჩემს წერილზე რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა და შეფასებისა და გამოცდების ცენტრმა რეაგირება არ მოახდინეს და მოსწავლე დატოვეს რეგისტრირებული. ჩემი გადაწყვეტილება ბავშვის სასარგებლოდ უფრო გამყარდა.

სხდომის თავმჯდომარე, რევაზ აფხაზავა დაინტერესდა გამოცდაზე დაშვებასთან დაკავშირებული კანონდარღვევის ფაქტით, თუ რატომ დადგა აღნიშნული საკითხი. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოსწავლე ფლექსის პროგრამიდან ჩამოვიდა მაისში. სკოლამ მიმართა რესურსცენტრს და განუმარტა, რომ მოსწავლეს არ ჰქონდა დოკუმენტები, რომ საგნები ჩათვლილად მიჩნეულიყო და ჰქონოდა უფლება ექსტერნის გამოცდაზე გასვლის. მოსწავლე უკვე დარეგისტრირებული იყო საატესტატო გამოცდებზე.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ რეგისტრაცია ხდებოდა თებერვალში და დაინტერესდა მოსწავლეს სტატუსის შეჩერების საკითხით პროგრამით წასვლის პერიოდში. სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ აფხაზავამ დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით მიმართა, თუ ვინ გამოარკვია არსებული გარემოებები. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საქმის კურსში იყო რესურსცენტრი. მას შემდეგ, რაც რესურსცენტრმა წერილით უპასუხა დაწესებულებას, დირექტორმა ჩათვალა, დაეშვა მოსწავლე გამოცდებზე. ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ ამის უფლება დირექტორს არ ჰქონდა და ეს ასახული იყო დასკვნაშიც.

რევაზ აფხაზავამ ცენტრს მიმართა შეკითხვით, რამდენად იყო საბჭო უფლებამოსილი მსგავსი საკითხები განეხილა, რადგან თემის განხილვა სცილდებოდა ავტორიზაციის სტანდარტებს. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ეს პრობლემა არ დადგებოდა მოსწავლისთვის სტატუსი რომ შეეწყვიტათ. ამ შემთხვევაში, სკოლამ გადააჭარბა უფლებამოსილებას, დაარღვია მინისტრის ბრძანება, თუმცა საბჭოს წევრებისთვის გაუგებარი იყო, ამის გამო გადაწყვეტილება მათ როგორ უნდა მიეღოთ.

ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ მონიტორინგის საფუძველი გახდა ის საკითხი, თუ რამდენად კანონიერად იყო მოსწავლე ჩარიცხული და რამდენად კანონიერად იქნა დაშვებული გამოცდაზე, მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებული ხარვეზები შესაძლოა გამხდარიყო ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი. ექსპერტებს უნდა გამოეკვლიათ მოსწავლის სტატუსის, კანონიერი უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტები. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ პირველ საკითხთან დაკავშირებით დარღვევა აშკარა იყო.

ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ სამივე სტანდარტში არსებობდა დარღვევები. ვიზიტის შემდგომ კი პროგრამული ნაწილის გამოსწორებული დოკუმენტები, მათ შორის, თემატური და კალენდარული გეგმები წარმოადგინა დაწესებულებამ.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, თუ არსებობდა გაწერილი მექანიზმი გეგმების ხარისხის კონტროლისთვის. ექსპერტმა უპასუხა, რომ კათედრის გეგმაში იყო გაწერილი, რომ მასწავლებლებს ევალებოდათ კონტროლი, წინა წლების გეგმებზე არ იყო დაფიქსირებული ხარვეზები, მხოლოდ მიმდინარე წლის გეგმაზე იყო შენიშვნები.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ აფხაზავამ დაწესებულებას სთხოვა განმარტება გაეკეთებინა იმ პედაგოგის შესახებ, რომელიც რამდენიმე თანამდებობას ერთდროულად იკავებდა. სკოლის წარმომადგენელმა რევაზ აფხაზავას უპასუხა, რომ აღნიშნული პედაგოგი იყო მოვალეობის შემსრულებელი, ამჟამად კი დაუბრუნდა ბიბლიოთეკარის პოზიციას.

საბჭოს წევრი დაინტერესდა ხელოვნება ერთ კათედრაში თუ იყო მოაზრებული. ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა უპასუხა, რომ საგანი დაწყებითების კათედრაში იყო გათვალისწინებული და სკოლაში სულ ოთხი კათედრა არსებობდა.

სხდომის თავმჯდომარე, რევაზ აფხაზავა დაინტერესდა სკოლაში არსებული სპორტის სახეობებით.

სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სკოლაში გათვალისწინებული იყო ჭადრაკი, მინი ფეხბურთი და ფრენბურთი. მან დაამატა, რომ საათების უზუსტობასთან დაკავშირებით ცხრილი გასწორებული ჰქონდათ. ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ პირველ-მეოთხე კლასებში ცხრილში გათვალისწინებული იყო ჭადრაკი, რაც დარღვევას წარმოადგენდა. 1-6 კლასში სპორტის სწავლება საგნობრივ სტანდარტს უნდა მიჰყოლოდა, ხოლო, მე-7 მე-12 კლასების ჩათვლით სკოლას უნდა ჰქონოდა 3 არჩევითი სახეობა და ეს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის იყო სავალდებულო. რევაზ აფხაზავამ დაამატა, რომ სხვა სახეობის სპორტი შესაძლებელი იყო წრის სახით შექმნილიყო, ხოლო რაც სავალდებულო მოთხოვნაა, მათი ჩანაცვლება დაუშვებელი იყო.

ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გასაუბრების შედეგად მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან დადგინდა, რომ არ იყო გამჭვირვალე კრიტერიუმები, ამჟამად კი დაწესებულებას ჰქონდა წარმოდგენილი გასწორებული დოკუმენტაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად ვებგვერდი რეორგანიზაციის რეჟიმში იყო და გამჭვირვალობას მისი მეშვეობით ახდენდნენ. რაც შეეხებოდა შეფასების კრიტერიუმებს, მათ შესახებ ჩანაწერი არსებობდა მასწავლებლის წიგნებში.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ სასკოლო გეგმა დამტკიცებული იყო 4 სექტემბერს. ხოლო მინისტრის ბრძანება გამოცემული იყო 8 სექტემბერს. მას აინტერესებდა თუ იყო გეგმაში შეტანილი ის ცვლილებები, რასაც ითვალისწინებდა აღნიშნული დოკუმენტი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იცნობდა ბრძანებას და სასწავლო გეგმები სულ ახლიდან დაისახა.

ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ მოსწავლეს უნდა სცოდნოდა როგორ შეფასდებოდა - რა შემთხვევაში რა ქულას დაიმსახურებდა. რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, რამდენად იყო შესაძლებელი უნიფიცირებული სისტემის მეშვეობით შეფასებულიყო სხვადასხვა ტიპის დავალებები. სხდომაზე აღინიშნა, რომ ზოგად უნარ-ჩვევებს უნიფიცირებული სისტემით აფასებდნენ და სხვადასხვა გაკვეთილს ცალკე უნდა ჰქონოდა შეფასების სქემა.

მერხებთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას უკვე ჰქონდა მერხების დამზადებისა და მიღება-ჩაბარების აქტი, რაც წარუდგინა საბჭოს წევრებს. კამერებთან დაკავშირებული ხარვეზიც აღმოგზვრილი იყო და დასადასტურებლად ფოტომასალა იყო წარმოდგენილი დაწესებულების მხრიდან.

ხელშეკრულებებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უვადოდ იყო გაფორმებული და ანაზღაურება საათობრივად ხდებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ ვიზიტის დროს მობილობის პროცესი მიმდინარეობდა, საათობრივ დატვირთვაში ცვლილებები შეჰქონდათ. პირობები შეთანხმებული იყო პედაგოგებთან და ამ ეტაპზე ყველა ჩანაწერი გასწორებული იყო.

16:17 საათზე სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.

სხდომა განახლდა 16:30 საათზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ჩირაღდნისთვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: მარინა უშვერიძემ, თამარ ფხალაძემ.

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სკოლა ჩირაღდნის (ს/კ: 216342330) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ გადაწყვეტილება გამომდინარეობდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესებიდან, მათი კეთილდღეობიდან. ასევე, საბჭო დაეყრდნო ექსპერტის მხრიდან დადასტურებას, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ხარვეზები და წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

პირველი საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომას შეუერთდა საბჭოს თავმჯდომარე, ირინა აბულაძე, რომელმაც გააგრძელა სხდომის თავმჯდომარეობა.



2. შპს ფრანგულ სკოლაში მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ნოდარ ანგურიძემ და დავით ჭეიშვილმა.

ექსპერტებმა საბჭოს გააცნეს დასკვნაში დაფიქსირებული გარემოები. მათი თქმით, შპს ფრანგულ სკოლაში განხორციელდა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი, რომლის საფუძველიც ცენტრში შემოსული კორესპონდენცია გახლდათ. კორესპონდენციის მიხედვით, შპს ფრანგულმა სკოლამ არასწორად ჩარიცხა მოსწავლე მე-10 კლასში, 2014-15 სასწავლო წლის დასაწყისში. მოსწავლის მამამ, იუსუფ თურმანიძემ განცხადებით რამდენჯერმე მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საკითხის განსახილველად. პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ სკოლა, რომლიდანაც მოსწავლე გადავიდა შპს ფრანგულ სკოლაში, ამტკიცებდა, რომ მოსწავლეს არ ჰქონდა მე-10 კლასში გადასვლის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლის პირად საქმეში გაკეთებული იყო ჩანაწერი მოსწავლის მე-9 კლასიდან მე-10 კლასში გადასვლის შესახებ. სკოლა აცხადებდა, რომ მოსწავლეს სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სასწავლო წლის მანძილზე 30% გაცდენა უფიქსირდებოდა, რის შემდეგაც მას, ასევე, არ ჰქონდა ჩაბარებული ექსტერნის გამოცდა.

ექსპერტების მიერ საკითხის გარკვევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ შპს ფრანგულ სკოლას, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის დროს, არ დაურღვევია ჩარიცხვის წესი. სკოლამ მოსწავლის პირადი საქმით იხელმძღვანელა და ჩარიცხვა განახორციელა მითითებულ კლასში.

საბჭოს წევრის ხათუნა ბარაბაძის განცხადებით კანონის თანახმად მოსწავლის პირად საქმეში რამე უზუსტობის შემთხვევაში მიმღებმა სკოლამ უნდა გადაგზავნოს ძველ სკოლაში და მათ განიხილონ. იგი ასევე დაინტერესდა, ასეთი უზუსტობის შემთხვევაში რატომ არ იქნა გადაგზავნილი უკან ეს საბუთები და რატომ მიიღო სკოლამ გადაწყვეტილება თვითნებურად.

სკოლის დირექტორის განმარტებით, შპს ფრანგული სკოლა ტელეფონით დაუკავშირდა რესურსცენტრს, საიდანაც მიიღო პასუხი, რომ თავად უნდა მიეღო გადაწყვეტილება მოსწავლის ჩარიცხვასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ სკოლას რესურს ცენტრისთვის წერილობით არ მიუმართავს და მათ კითხვას, რომელ კლასში უნდა მომხდარიყო აღნიშნული მოსწავლის ჩარიცხვა, რესურსცენტრი უპასუხოდ ტოვებდა.

ხათუნა ბარაბაძის თქმით, სკოლას თავად უნდა მიეწერა რესურს ცენტრისათვის, რადგან სკოლას არ ჰქონდა ბრძანება მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ. შესაბამისად, კანონმდებლობით არანაირი საფუძველი არ ჰქონდათ მოსწავლის მე-10 კლასში ჩარიცხვისა, ვინაიდან სახეზე იყო მხოლოდ მე-9 კლასში ჩარიცხვის და მე-9 კლასიდან ამორიცხვის ბრძანებები.

სკოლის დირექტორის განმარტებით, მშობელი არ ჩიოდა და აინტერესებდა მისი შვილი რომელ კლასში სწავლობდა.

საბჭოს წევრის, რევაზ აფხაზავას თქმით, სკოლის ბრალეულობა არ გამოიკვეთა. იურისტების განმარტებით, სკოლის ქმედებებით არ დაზარალებულა მოსწავლე, ამიტომ გადაცდომად არ დაფიქსირებულა.

ექსპერტთა თქმით, ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ საჯარო სკოლაში შევიდა გენერალური ინსპექცია და სკოლას გამოეცხადა საყვედური.

2. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

დაწესებულებას ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N67-ში, შპს „სინათლიდან“ იჯარით აღებული ჰქონდა 500 კვ.მ. ფართი, რომელიც მოიცავდა, სამ სართულიანი შენობის პირველ, მეორე და მესამე სართულებს, მაგრამ არა მთლიან შენობას. ხელშეკრულება ძალაში იყო 15.08.2012-დან 2018 სასწავლო წლის 15 აგვისტომდე. სკოლას შენობის პირველ სართულზე ჰქონდა ჩვეულებრივი საშუალო ზომის ოთახი, „ფიზკულტურის დარბაზი“, რომელშიც დგას ჩოგბურთის მაგიდა, ჭადრაკის დაფები. დირექტორის განმარტებით უამინდობის დროს იქ ტარდებოდა სპორტის გაკვეთილები. კარგი ამინდის შემთხვევაში სკოლის შენობის წინ მცირე ზომის ეზოში იშლებოდა ფრენბურთის ბადე და მოსწავლეებს შეეძლოთ ეთამაშათ ბადმინტონი. სკოლას არ ჰქონდა სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, საცურაო აუზი, ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლა მოლაპარაკებებს აწარმოებდა ერთ-ერთ საჯარო სკოლასთან სპორტული დარბაზის იჯარით აღებასთან დაკავშირებით.

სკოლას არ ჰქონდა ადაპტირებული გარემო სსსმ მოსწავლეებისთვის.

არ ჰქონდა ვებ-გვერდი, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დრო ვებ გვერდი ამოქმედდა.

სკოლას არ ჰქონდა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მექანიზმები. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში იყო ექიმის კაბინეტი, მაგრამ არ ჰქონდათ მექანიზმები, თუ როგორ უნდა ემოქმედათ კონკრეტული შემთხვევების დროს. ცეცხლმაქრი იყო.

რაც შეეხება კამერებს, ორი კამერა იყო გარეთ დაყენებული, რომლიდან ერთი სკოლის, ხოლო მეორე ორგანიზაციის (ეზოში არსებული საწყობების მეთვალყურეობის მიზნით). დაწესებულების განმარტებით საწყობთან ჰქონდათ ხელშეკრულება გაფორმებული კამერებთან დაკავშირებით.

3. ადამიანურ რესურსებთან მიმართებით:

კიდევ ერთ ხარვეზი ჰქონდათ ადამიანურ რესურსებში: კერძოდ, ფრანგულის მასწავლებელს, რომელსაც ჰქონდა ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრის ხარისხი, თუმცა რა მიმართულებით არ იყო აღნიშნული.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლას ჰქონდა სტადიონი იმავე კვარტალში. საბჭოს წარუდგინეს სტადიონის ფლობის ხელშეკრულება და სურათები. ასევე, ადაპტირებული სველი წერტილის და პანდუსების ფოტოები.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, ხანძრის გარდა სხვა საფრთხეები თუ იყო გათვალისწინებული. რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ მექანიზმები არ ჰქონდათ.

რაც შეეხება ადამიანურ რესურსებს, დაწესებულების განმარტებით, ფრანგულის მასწავლებელს დიპლომში ეწერა ჰუმანიტარული მეცნიერებები, ხოლო ინგლისურ ვარიანტში ფრანგული ენა და ლიტერატურა.

საბჭო დაინტერესდა, მასწავლებლების პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით, სკოლა თუ აფინანსებდა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და არსებობდა თუ არა რაიმე დოკუმენტი ამ ტიპის აქტივობების აღრიცხვასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პედაგოგებს გავლილი ჰქონდათ სხვადასხვა ტრენინგები. ექსპერტების თქმით, ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მათ არ უნახავთ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ ექსპერტებს ვიზიტის დროს წარმოუდგინა, „განათლების ინსტიტუტის“ მწვრთნელთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც ვალდებულებას იღებდა სკოლის პედაგოგებისათვის პროფესიული განვითარების და ქართული ენისა და ლიტერატურის ტრენინგების ჩატარებაზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ფრანგული სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: ირინა აბულაძემ, ხათუნა ბარაბაძემ.

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ფრანგული სკოლის (ს/კ: 245438281) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დამსწრე საზოგადოებას ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ანგურიძემ გააცნო.

ექსპერტის ცნობით, მონიტორინგის ვიზიტის შესახებ ცენტრის დირექტორის 26 ოქტომბრის ბრძანების საფუძველი სახალხო დამცველის აპარატში შესული წერილი გახდა, რომელშიც სკოლის მოსწავლის მშობელი შვილის მიმართ მიყენებული ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ აცხადებდა. კერძოდ, მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ მოსწავლეებელმა არასრულწლოვან მოსწავლეს თმებში საღეჭი რეზინი ჩააწება. სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით მიმართა განათლების და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსს, საიდანაც წერილი ცენტრში გადმომისამართდა.

ექსპერტის თქმით, პირველ რიგში შემთხვევა იდენტიფიცირდა, როგორც ავტორიზაციის ერთერთი სტანდარტის დარღვევა, რომელიც სკოლაში არსებულ კეთილგანწყობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოს არსებობას ეხება.

ექსპერტმა განმარტა, რომ მონიტორინგის ჯგუფმა სკოლის დირექციას განუმარტა ვიზიტის მიზეზი და გამოითხოვა ინციდენტთან დაკავშირებული შიდა სასკოლო ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია. დირექციის განმარტებით, საკითხი პედაგოგზე განიხილეს და პედაგოგს გამოეცხადა საყვედური. ექსპერტთა ჯგუფი მიზნად ისახავდა გამოერკვია, ჰქონდა თუ არა სკოლაში მსგავს დარღვევებს სისტემური ხასიათი.

საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა, განსაზღვრული იყო თუ არა შინაგანაწესით დისციპლინური სასჯელის ფორმები და იყო თუ არა პედაგოგის მიერ მოსწავლის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის სამსახურიდან გათავისუფლების სასჯელი შეფარდებული. ექსპერტის განცხადებით, შინაგანაწესი არეგულირებდა აღნიშნულ საკითხებს, თუმცა მოსწავლის შეურაცხყოფის საფუძველით პედაგოგის სამსახურიდან გათავისუფლება არ ხდებოდა.

სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შინაგანაწესით განსაზღვრული იყო დისციპლინური სასჯელის შემდეგი ეტაპები: გაფრთხილება, საყვედური, სასტიკი საყვედური და დათხოვნა. საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე და საბჭოს თავმჯდომარე, ირინა აბულაძე დაინტერესდნენ, შინაგანაწესის მიხედვით, რა შემთხვევაში ხდებოდა პედაგოგის სამსახურიდან დათხოვნა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მსგავს პრეცედენტს სკოლაში ადგილი არასდროს ჰქონია.

საბჭო დაინტერესდა პედაგოგის განმარტებებით - როგორ ხსნიდა იგი თავის საქციელს. საბჭოს წევრი, რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, ისევ ასწავლიდა თუ არა პედაგოგი მოსწავლეს. სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ მოსწავლეებელმა ბავშვს გაკვეთილზე

შენიშვნა მისცა სალექი რეზინის ღეჭვასთან დაკავშირებით და მის არასასარგებლო თვისებებზე მიუთითა. შენიშვნა მასწავლებელმა მოსწავლეს რამდენჯერმე გაუმეორა, რასაც შედეგი არ მოჰყოლია, რამაც გამოიწვია პედაგოგის რეაქცია. სკოლის წარმომადგენლის თქმით, პედაგოგი დღესაც ასწავლის მოსწავლეს და მათ თბილი ურთიერთობა აქვთ, ასევე, მასწავლებელი ინციდენტის დღიდან ნაწილობრივ თავის საქციელს და იხდიდა ბოდიშს უსიამოვნო ფაქტის გამო.

ნოდარ ანგურიძემ საბჭოს განუცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაგეგმა შეხვედრები მასწავლებლებთან, მშობლებთან და უფროსკლასელებთან. შეხვედრების მიმდინარეობისას, ექსპერტთა ჯგუფმა დამსწრე პირებს წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება სთხოვა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ჯგუფმა დაასკვნა, რომ თითოეულ რგოლს გაცნობიერებული ჰქონდა სკოლაში საკუთარი ადგილი და ურთიერთობებს დაწესებულებაში დადებითად აფასებდნენ.

ნოდარ ანგურიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის პერიოდში სკოლაში მოსწავლის მშობელი არ დაუბარებია, რადგან ინციდენტის შემდეგ სკოლაში მოსწავლის მამასა და პედაგოგს შორის კონფლიქტს ჰქონდა ადგილი, კერძოდ, მოსწავლის მშობელმა მასწავლებელს სკოლის სამასწავლებლოში შელაპარაკებისას ჩანთა ესროლა.

სკოლის გარეთ მოსწავლის მშობელთან შეხვედრისას მშობელმა განაცხადა, რომ მან მოაგვარა პედაგოგთან კონფლიქტი, მხარეები შერიგდნენ და აღარ სურდა აღნიშნული ინციდენტის გარშემო საკითხის გადრმავება. მშობლის განმარტებით, პედაგოგი მოსწავლის ოჯახს შინ ესტუმრა და ინციდენტის გამო პირადად მოიხადა ბოდიში.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, მოსწავლე მოძრავი ბავშვი იყო და სავარაუდოდ, მასწავლებლის ყურადღების ცენტრში ყოფნა სურდა, რის გამოც აღნიშნულმა ფაქტმა იჩინა თავი.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ სკოლის წარმომადგენლებს მიმართა - თუ მასწავლებლის ქცევა იმპულსური იყო, რა გარანტია ჰქონდათ იმისა, რომ მსგავსი ინციდენტი არ განმეორდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარე, ირინა აბულაძე დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას ფსიქოლოგი, გათვალისწინებული იყო თუ არა მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები და უტარდებოდათ თუ არა მასწავლებლებს აღნიშნული კუთხით თრეინინგები.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, სკოლას ჰყავდა ფსიქოლოგი. მანვე აღნიშნა, რომ მშობლის დახასიათებით, მოსწავლე რთული ხასიათის იყო. ირინა აბულაძემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვით, არსებობდა თუ არა აღნიშნული გარემოების შესახებ ფსიქოლოგის დასკვნა. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, როგორც მშობელი აღნიშნავდა, ბავშვი იყო დედისერთა და განებივრებული, რის გამოც განსხვავებულ მიდგომას საჭიროებდა.

საბჭოს წევრი, მარინა უშვერიძე დაინტერესდა, რას შეცვლიდა სკოლა სამომავლოდ, აღნიშნული გამოცდილების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლა კომპეტენტური ინსტანციებიდან დახმარებას საჭიროებდა, კერძოდ ფსიქოლოგებთან ურთიერთობასა და თრეინინგებს. საპატრიარქოს წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ შესაძლებელი იყო მასწავლებლებისთვის თრეინინგის ორგანიზება, რისი რესურსიც არსებობდა. რევაზ აფხაზავას კითხვაზე პასუხად, მანვე განაცხადა, რომ არსებული სიტუაციიდან გამომდინარე მიღებული გადაწყვეტილება მართებულად მიაჩნდა, რადგან კონფლიქტი ამოწურული იყო და ზოგადად, სწავლება კეთილგანწყობის გარემოში მიმდინარეობდა. მისივე აზრით, მხოლოდ ერთჯერადად მომხდარი ინციდენტის გამო,

მასწავლებლის გათავისუფლება არასამართლიანი იქნებოდა. წარმომადგენელმა პარალელი გაავლო ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში წარსულის გამოცდილებასთან და აღნიშნა, რომ მასწავლებლები ადრეც სჯიდნენ მოსწავლეებს, თუმცა ამით მოსწავლეებს სწავლაში ხელი არ ეშლებოდათ.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ ისინი ვერ გაიზიარებდნენ აღნიშნულ მოსაზრებას. საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ პედაგოგის თანამდებობიდან გათავისუფლება მოცემულ შემთხვევაში მართებული და კანონიერი გადაწყვეტილება იქნებოდა სკოლის მხრიდან. საპატრიარქოს წარმომადგენელმა განმეორებით აღნიშნა პედაგოგის დისციპლინური პასუხისმგებლობის დადგომის შესახებ. მანვე დაამატა, რომ მშობელს ინციდენტი აღარ გაუსაჩივრებია. მან ხაზი გაუსვა, რომ მასწავლებლის საქციელი გაუმართლებელი იყო და ის ამიერიდან საკითხს მეტი სიფრთხილით მიუდგებოდა. პრევენციას რაც შეეხება, სკოლას და საპატრიარქოს ამის რესურსი გააჩნდა და ამ მიმართულებით აუცილებლად დაიგეგმებოდა შესაბამისი ღონისძიებები.

რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ მსგავსი ინციდენტის სიმძიმე და შედეგები შესაძლოა სხვადასხვა ყოფილიყო და ფაქტს ბავშვისთვის ფსიქოლოგიური ზიანი მიეყენებინა. მისივე თქმით, ფაქტიდან გამომდინარე, აშკარა იყო, რომ სკოლის პრევენციის მექანიზმები არ მუშაობდა და მასწავლებელი, დროებით მაინც, სამსახურეობრივი მოვალეობისგან უნდა გათავისუფლებინათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ მასწავლებელი 34 წლის ქალბატონი, ქვრივი და სამი შვილის დედა იყო. ირინა აბულაძემ აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო პედაგოგის დროებით გათავისუფლება, მისი გადამზადება, სათანადო ტრენინგების ჩატარება და მხოლოდ ამის შემდგომ იყო შესაძლებელი მისი სასწავლო პროცესში ჩართვა.

საპატრიარქოს წარმომადგენელმა ლაშა ჩეკურიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლა ყველაფერს გააკეთებდა, რათა მსგავსი ინციდენტი არ განმეორებულიყო და გაათავისუფლებდა პედაგოგს, თუკი, მისი შეუსაბამო ქცევის შესახებ ეჭვი ოდნავ მაინც კვლავ აღიმკვრებოდა. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოსწავლისა და პედაგოგის ურთიერთობაში ამჟამად პრობლემები თავს არ იჩენდა, რაზეც საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა ადვილი ამოსაცნობი არ იყო და ურთიერთობების ზერელე დაკვირვება კეთილგანწყობის შესახებ აზრის მყარ საფუძველს არ იძლეოდა.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ მოპასუხე მხარეს მიმართა კითხვით, როგორ მოიქცეოდნენ თუკი მსგავსი ინციდენტი სხვა პედაგოგებთან იჩენდა თავს. საპატრიარქოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეიცვლებოდა პედაგოგებთან მუშაობის მიდგომები, ისინი წინასწარ იქნებოდნენ გაფრთხილებულები, რომ მათი მხრიდან მსგავსი ქცევა სამსახურიდან გათავისუფლებას გამოიწვევდა, აღნიშნულის თაობაზე, ასევე იქნებოდა სათანადო მითითება გაკეთებული პედაგოგთა შრომით ხელშეკრულებებშიც.

საპატრიარქოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინციდენტის შესახებ საპატრიარქოს მხოლოდ წინა დღით ეცნობა, რაზეც რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში უმჯობესი იქნებოდა თუ საქმის დეტალებში უფრო ჩახედული სკოლის წარმომადგენელი ისაუბრებდა.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლა ემიჯნებოდა ყველანაირი სახის ძალადობას. მისივე თქმით, სკოლა 7 წლის განმავლობაში იცნობდა პედაგოგს და ძალზე დადებითად ახასიათებდა, რის გამოც გადაწყდა სწორედ მისთვის საყვედურის გამოცხადება, სამსახურეობრივიდან გათავისუფლების ნაცვლად. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ

მსგავსი ინციდენტის განმეორების შემთხვევაში, სკოლა გაათავისუფლებდა პედაგოგს, თუმცა ხაზი გაუსვა მის სოციალურ მდგომარეობასაც.

რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ გასაგები იყო მასწავლებლის სოციალური მდგომარეობის საკითხი, თუმცა სკოლის ამოსავალი წერტილი მოსწავლის უფლებები იყო და სკოლა პედაგოგთა სოციალურ თავშესაფარს არ წარმოადგენდა. ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ სკოლას შეეძლო პედაგოგისთვის სწავლების უფლებამოსილება ჩამოერთვა და მაგალითად, ბიბლიოთეკაში დაესაქმებინა, თუკი მის სოციალურ მდგომარეობას ითვალისწინებდა. საპატრიარქოს წარმომადგენელმა პასუხად განაცხადა, რომ უახლოესი დღეების მანძილზე გადაიხედებოდა პედაგოგთან შრომითი ურთიერთობის საკითხი და სკოლა მიიღებდა გადაწყვეტილებას. ირინა აბულაძემ სკოლის წარმომადგენლებს შესთავაზა მასწავლებელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისთვის მიემართა და ესარგებლა შეთავაზებული თრენინგებით, რაც მას პროფესიულ ზრდაში, განვითარებაში დაეხმარებოდა და მსგავს ინციდენტებსაც თავიდან აიცილებდნენ.

ირინა აბულაძე და რევაზ აფხაზავა დაინტერესდნენ, სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, როგორ უნდა მოქცეულიყო პედაგოგი მოსწავლის მხრიდან დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პედაგოგი მოსწავლეს მისცემდა შენიშვნას, თუ მოსწავლე დაუმორჩილებლობას განაგრძობდა, პედაგოგს მოსწავლე სკოლის მომღვათთან უნდა მიეყვანა.

ხათუნა ბარაბაძე მშობელთა ჩართულობის საკითხით დაინტერესდა. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლაში თითოეულ კლასში მშობელთა კომიტეტები მოქმედებდა.

ირინა აბულაძემ განაცხადა, რომ დასკვნის მიხედვით, სკოლა 5 წლის მოსწავლეებს იღებდა, რომელთაც 6 წელი 31 დეკემბრამდე უსრულდებოდათ, რაც კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენდა. პასუხად დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩანაწერში ტექნიკური ხარვეზი იყო და სკოლას არ მიუღია 6 წლამდე მოსწავლეები.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ როგორც ზეპირ მოსმენაზე გამოიკვეთა, მოსწავლის მშობლის განცხადებით, მოსწავლეს ფსიქოლოგიური პრობლემა ჰქონდა, რაც მის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას მოწმობდა და სკოლა ვალდებული იყო, თავის დროზე, უზრუნველყო მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ მოსწავლის შეფასება.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებაში სკოლამ მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების საკითხი მოიაზრა, ასევე, სკოლამ გამოასწორა ხარვეზი და შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოადგინა.

ნოდარ ანგურიძემ საბჭოს განუცხადა, რომ სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია მოძველებული იყო. ასევე, სკოლას არ გააჩნდა ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო მექანიზმები. სკოლის სათადარიგო შესასვლელს არ აკონტროლებდა სამეთვალყურეო კამერა, თუმცა ხარვეზი გამოსწორდა. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების პერიოდში სამეთვალყურეო კამერების შესახებ მოთხოვნა მხოლოდ სკოლის ძირითად შესასვლელს ეხებოდა.

ირინა აბულაძე დასკვნაში აღნიშნული სკოლის შემოღობვის საკითხით დაინტერესდა, კერძოდ, უქმნიდა თუ არა ბავშვის უსაფრთხოებას პრობლემას ის, რომ სკოლა არ იყო შემოღობილი. ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ სკოლა არ გადიოდა საავტომობილო სავალ ნაწილზე, შენობის გვერდით კი პარკი მდებარეობდა.

საბჭოს სხდომაზე 18:02 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 18:18 საათზე.

ირინა აბულაძემ ექსპერტთა ჯგუფს მიმართა, ხომ არ სურდათ დამატებით რაიმეს აღნიშვნა. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ირინა დვალმა განაცხადა, რომ გმოზდა პედაგოგის ქცევას, მასწავლებელს მეტი თავშეკავება მოეთხოვებოდა, თუმცა აღნიშნა, რომ ხანდახან შესაძლებელი იყო პედაგოგსაც ვერ გაეკონტროლებინა თავისი ემოციები. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ სკოლის საერთო სურათით კმაყოფილი იყო - მშობლებს, პედაგოგებს და მოსწავლეებს სიამოვნებდათ ერთმანეთთან ურთიერთობა.

რევაზ აფხაზავამ სკოლის წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, გრძნობდა თუ არა მასწავლებელი თავს დამნაშავედ, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო. რევაზ აფხაზავას და ხათუნა ბარაბაძის აზრით, სწორედ ეს წარმომადგენდა პრობლემას, როცა მშობელმაც უკან დაიხია, სკოლა მასწავლებლის გაფრთხილებით შემოიფარგლა და მოსწავლის უფლებები და ინტერესები დაუცველი დარჩა.

რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, გაესაუბრა თუ არა მონისტორინგის ჯგუფი მოსწავლეებს და გასაუბრებამ გამოავლინა თუ არა მოსწავლეების მიმართ სკოლაში მოქმედი დამატებითი დისციპლინარული სანქციები, მაგალითად მოსწავლეებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში. ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოსწავლეებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლა ასეთ შემთხვევაში მოსწავლეებს მეტანიების შესრულებას ავალბდა, თუმცა ეს არ იყო სასჯელი, არამედ სულიერების სფეროს განეკუთვნებოდა. სკოლის წარმომადგენელმა სასულიერო პირმა აღნიშნა, რომ მოსწავლეებს ისედაც სთხოვდნენ ყოველ დღით 30 მეტანიის შესრულებას მაინც, როგორც რიტუალის აღსრულებას და არავინ მოსწავლეებს აზიდვების ან რაიმე სხვა ვარჯიშის ელემენტების შესრულებას არ ავალდებულებდა.

ირინა აბულაძემ დაწესებულებას განუცხადა, რომ როგორც არ უნდა ყოფილიყო საბჭოს გადაწყვეტილება, სკოლისთვის ეს დიდი მაგალითი და დაფიქრების საფუძველი უნდა გამხდარიყო. ირინა აბულაძემ განმარტა, რომ ნებისმიერ ინსტიტუციაში დაცული უნდა ყოფილიყო მოსწავლეთა კანონიერი უფლებები და ინტერესები. ამ მიზნით, სკოლებს უნდა ჰქონოდათ შესაბამისი მექანიზმები შემუშავებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიისთვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული საქმისწარმოების შეწყვეტის საკითხი:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: ირინა აბულაძემ, ნინო კოდუამ, ხათუნა ბარაბაძემ.

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიისთვის (ს/კ: 221282396) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, სასწავლო წლის დასრულებამდე, სკოლაში განხორციელებინა განმეორებითი მონიტორინგი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა უზრუნველყოფის კუთხით არსებული ხარვეზების აღმოფხვრის, დისციპლინური დარღვევების პრევენციის მექანიზმების ეფექტურობისა და პედაგოგების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფის დადასტურების გადამოწმების მიზნით. საბჭოს თავმჯდომარემ სურვილი გამოთქვა, რომ განმეორებითი მონიტორინგის განხორციელებამდე სკოლას სრულად გაეაზრებინა და გამოესწორებინა დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები. საბჭოს წევრებმა სკოლას განუმარტეს, რომ მნიშვნელოვანი იყო პედაგოგებთან დადებული ხელშეკრულებებისა და შრომითი ურთიერთობების გადახედვის თაობაზე სკოლის მიერ დაფიქსირებული დანაპირების შესრულება.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლა მზად იყო ყველა შენიშვნა და რეკომენდაცია გაეთვალისწინებინა, აქტიურად ჩართულიყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით მიმდინარე აქტივობებში.

4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა დასაწყისში ისაუბრა დაწესებულებაში მონიტორინგის საფუძვლის შესახებ. 2015 წლის ოქტომბერში ადგილობრივ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია სკოლაში მომხდარი ინციდენტის შესახებ, რომლის თანახმადაც დაწესებულებაში ადგილი ჰქონდა მოსწავლის ფიზიკური დასჯის ფაქტს. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, ცენტრის დირექტორის ბრძანებით განხორციელდა მონიტორინგის ვიზიტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ექსპერტმა თავდაპირველად წარმოადგინა დასკვნა ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით (მუხლი 12, პუნქტი 4-5), გაუთვალისწინებელი დამატებითი სავალდებულო საგნის სასწავლო გეგმა (თუ ასეთი გეგმა არ არის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ პროგრამებში) უნდა მოიცავდეს:

ა) საგნის სწავლების მიზნებს (სადაც ჩამოყალიბებული იქნება, თუ რა ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების შეძენას ითვალისწინებს ეს კურსი);

ბ) შეფასების პრინციპებს (ქულა, ჩათვლა);

გ) საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალს.

რასაც „საღვთო სჯული“-ს და მოძღვრის საათის პროგრამები არ აკმაყოფილებდა. სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებისას, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მშობლებთან გასაუბრებისას და დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების ნამუშევრების, კერძოდ ტესტების დათვალიერებისას (მეორე და მესამე კლასები) აღმოჩნდა, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლა მოსწავლეებს აფასებდა პირველი ხარისხის (5 - 6 ქულა), მეორე ხარისხის (7-8 ქულა) და მესამე ხარისხის (9-10 ქულა) ჩათვლებით.

სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული ცხრილის მიხედვით კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები ტარდებოდა V-XII კლასებში, ამასთან XI-XII კლასებში ცენტრალიზებულად. მონიტორინგის ჯგუფთან მომაგრებულ სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას კი განსხვავებული მოსაზრებები გამოთქვეს, კერძოდ:

ა) ეს ცხრილი მხოლოდ XI და XII კლასებს ეხებოდა,

ბ) ეს სათაური - კლასიდან კლასში გადასაყვანი შეცდომით ეწერა,

გ) გამოცდებს სკოლა ატარებდა მხოლოდ საფეხურების ბოლოს,

დ) პირველი სემესტრი რომ დამთავრდებოდა იმის მიხედვით იღებდნენ გადაწყვეტილებას, თუ რა საგნებში და რომელ კლასებში დანიშნავდნენ გამოცდებს;

ე) შეიცვალა მიდგომა გამოცდებთან დაკავშირებით: „სკოლის ახალ სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია 2015 წლის 7 სექტემბერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებები. კერძოდ, ცვლილებებია კალენდართან, სადამრიგებლო პროგრამასთან, სემესტრულ, წლიურ, საშემოდგომო, ექსტერნატის, სკოლის გამოსაშვებ გამოცდებთან, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან, არჩევითი საგნების სწავლებასთან დაკავშირებით“. სასაკოლო სასწავლო გეგმაში არ იყო დაკონკრეტებული თუ რა გადაწყვეტილება მიიღო სკოლამ წლის ბოლოს ჩასატარებელ გამოცდებთან დაკავშირებით. რაიმე დამატებითი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა სკოლის მიერ წლიური გამოცდების დანიშვნის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, მოთხოვნის მიუხედავად, სკოლას არ წარმოუდგენია.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში წლის ბოლოს ჩასატარებელი გამოცდების შესახებ სკოლას გადაწყვეტილება უნდა მიეღო სასწავლო წლის დასაწყისში, რომელიც უნდა ასახულიყო სასაკოლო სასწავლო გეგმაში და სწავლის დაწყებიდან პირველი კვირის ბოლომდე უზრუნველყოფილიყო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირის მიმართ.

შემაჯამებელი დავალებების ჩატარების შესახებ დოკუმენტაცია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ისიც არასრული სახით, აღმოაჩნდა მხოლოდ ზოგიერთ მასწავლებელს (გეოგრაფია VII, VIII, IX კლასები, მათემატიკის მასწავლებელს და ისტორიის მასწავლებელს), კონკრეტულად შემდეგი მოთხოვნებიდან გამომდინარე: ა) სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; ბ) კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები; გ) მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა; დ) თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები.

მოსწავლის შეფასების სქემები გამოკრული იყო სკოლის დერეფანში თვალსაჩინო ადგილას და ზოგიერთ საკლასო ოთახში, თუმცა გასაუბრებისას მშობლებმა აღნიშნეს, რომ არ ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა კრიტერიუმებით ფასდებოდნენ მათი შვილები.

2. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

სკოლის შენობის შესასვლელი და მეორე სართულზე ასასვლელი კიბეებზე მოწყობილი იყო ასაკეცი პანდუსები სსსმ მოსწავლეთა იმ კატეგორიისთვის, რომელთაც გადასადგილებლად ესაჭიროებათ ეტლი, მაგრამ სველი წერტილები ამავე კატეგორიის მოსწავლეთათვის ადაპტირებული არ იყო, თუმცა სკოლის დირექტორის განმარტებით დაგეგმილი იყო ამ ხარვეზის გამოსწორება. ამასთან აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი იყო მარტივი რეკონსტრუქციით (ხელმოსაჭიდების დაყენებით) ახლადგარემონტებული სპორტული დარბაზის სველი წერტილების ადაპტირება.

მონიტორინგის ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის იმ სტანდარტის შემოწმებას, რომელიც გულისხმობს სკოლაში დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას, რაც ხელს უწყობს სასაკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას.

სამრევლო სკოლის შინაგანაწესის გაცნობის, მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გამართული შეხვედრებითა და ჩატარებული გამოკითხვით გამოვლინდა,

რომ სკოლაში არსებობდა ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. დიდი ყურადღება ექცეოდა მოსწავლის წარმატების, მიღწევის დაფასებას. მასწავლებლები ამაყად საუბრობდნენ თავიანთი მოსწავლეებზე, ერთმანეთზე, ურთიერთთანამშრომლობაზე. მშობელთა შეხვედრაზე, რომელსაც 50-მდე პირი ესწრებოდა აშკარა გახდა, რომ ისინი ძალიან კმაყოფილები იყვნენ სკოლის პედაგოგებით, დისციპლინით სკოლაში, საკუთარი შვილების წარმატებებით.

კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც მოსწავლის მიმართ ფიზიკურ შეურაცხყოფელ ქმედებას, ეგრეთწოდებულ „გაროზგვას“ შეეხებოდა, მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მოძღვრის მხრიდან ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. პედაგოგების, მშობლების და მოსწავლეების მხრიდან მოძღვარი ხასიათდებოდა, როგორც მეგობრული და საყვარელი მასწავლებელი. იმავე კლასის მოსწავლეების მონაყოლით კი მოვლენები ასე განვითარდა: „მოძღვრის საათის“ გაკვეთილის დაწყებამდე ერთ-ერთ გოგონას კლასელმა ბიჭმა მიაყენა შეურაცყოფა. გოგონა ძალიან განერვიულდა და ეს ფაქტი გაახმოვანა მოძღვრის გაკვეთილზე. მოძღვარი სიტუაციის განსამუხტად გოგონას გაეხუმრა, ხომ არ დაესაჯათ დისციპლინის დამრღვევი, მან უარი თქვა, ხოლო მეორე მოსწავლემ ასევე ხუმრობით თქვა - დაესაჯოთო და დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეს მიატყა წეპლა, რომელიც ხელში ეჭირა. ეს ფაქტი ასევე ხუმრობით გავრცელდა მოსწავლეებს შორის და როგორც ჩანს ერთ-ერთი მოსწავლემ მოუყვა ამის შესახებ მშობელს, რომელმაც თავისი მხრიდან დაურეკა „დასჯილი“-ის მშობელს და მოუყვა მომხდარის შესახებ. თავად დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეს დედისთვის არაფერი მოუყოლია, რამდენადაც მას ამ ფაქტისთვის მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. მეორე დღეს ჩანიშნული იყო მშობელთა კრება, რომელსაც ყველა მშობელი ესწრებოდა. კრების შემდეგ მოსწავლის მშობელი გაესაუბრა დამრიგებელს და დირექტორს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. გასაუბრების შემდეგ მან დაადგინა, რომ არაფერი სერიოზული არ მომხდარა და ამით დამთავრდა ყველაფერი.

მოგახსენებთ, რომ აღნიშნულ ფაქტი მოხდა 2015 წლის თებერვალში. ამ ეპიზოდის შემდეგ სწავლის პროცესი ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტის შესახებ ინფორმაცია ადგილობრივი მედიის საშუალებით ოქტომბერში გავრცელდა, ანუ დახლოებით 9 თვის შემდეგ. რატომ გავრცელდა აღნიშნული ინფორმაცია მოგვიანებით და თანაც, რატომ გავრცელდა ის ფაქტების დამახინჯებით, ამის შესახებ სასკოლო საზოგადოებისგან (დირექცია, მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები), მონიტორინგის ჯგუფმა პასუხი ვერ მიიღო.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მონიტორინგის ჯგუფი შეეცადა დაედგინა მედიაში გავრცელებული ინფორმაციის სინამდვილესთან შესაბამისობა. ინციდენტის შემსწრე კლასის მოსწავლეებთან გაიმართა შეხვედრა. ინციდენტში მონაწილე სხვა პირებთან შეხვედრა ვერ მოხერხდა, რადგან ინციდენტის მონაწილე მამაო ოქტომბრიდან (მედიაში ფაქტის გახმოვანების შემდეგ) მონასტერში აგრძელებდა თავის მსახურებას სიტუაციის გარკვევამდე, რაც შეეხება დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეს, სწავლა გააგრძელა სხვა სკოლაში და მისმა მშობლებმა არ ისურვეს აღნიშნულის შესახებ საუბარი (როგორც გადმოგვცეს), რადგან არ ანიჭებდნენ აღნიშნულ ფაქტს რაიმე მნიშვნელობას და თავს დაზარალებულად არ ცნობდნენ. აღნიშნულს ადასტურებდნენ სკოლის დირექტორის მოადგილე ნინო გოგეშვილი, კლასის დამრიგებელი ა. ლომაძე და სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი ინგა სირაძე

სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებით მონიტორინგის ჯგუფმა გამოიტანა დასკვნა, რომ სკოლაში არ იყო დასჯის მსგავსი პრაქტიკა რეალურად და არც ფორმალურად, რითაც დასტურდება, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის,

ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას.

სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, სკოლაში ფიზიკური დასჯის ფაქტებს არ ჰქონდა რეგულარული სახე და ის შემთხვევა, რომელიც 2015 წლის თებერვალში მოხდა, მხოლოდ ბავშვების ხუმრობა იყო. საბჭოს წევრის განცხადებით, ამ შემთხვევაში ფორმას მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარია, რომ ფიზიკური დასჯის ფაქტი მოხდა. ამ ასაკში მოსწავლეებს აქვთ საკმაოდ სენსიტიური ფსიქიკა, ამიტომ რთულია განსაჯო, ის რამდენად ეწყინა მოსწავლეს ესა თუ ის საქციელი. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, სკოლას ჰქონდა ამ შემთხვევაზე რეაქცია, დაიბარა მშობელი და მასწავლებელი და ესაუბრა მათ ამ ინციდენტის შესახებ. საბჭოს ერთ-ერთი წევრი დაინტერესდა იმით, თუ ვინ გაავრცელა ინფორმაცია მასმედიაში. სკოლის წარმომადგენლებს ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ ისაუბრა კიდევ ერთხელ ბავშვის ფსიქოლოგიაზე და აღნიშნა, რომ ხშირად ხუმრობაში გატარებული საქციელი ბავშვს შეიძლება ეწყინოს, მაგრამ ეს ხმამაღლა არ თქვას.

საბჭოს წევრს ხათუნა ბარაბაძეს ჰქონდა შეკითხვა გამოძიებასთან დაკავშირებით. იგი დაინტერესდა, თუ რატომ დაიწყო სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან წარმოება ამ შემთხვევის გარშემო, რომელზედაც საჩივარი არავის შეუტანია. საბჭოს წევრმა მიმართა ასევე საპატრიარქოს წარმომადგენელს და ჰკითხა მათი პოზიციის შესახებ.

ექსპერტის, ქეთევან ბოტკოველის, განმარტებით, ის სიუჟეტი რაც ტელევიზიაში იყო ნაჩვენები არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. მისი თქმით, სკოლაში საკმაოდ ღია გარემო იყო და შესაბამისად მოსწავლეებიც საკმაოდ გახსნილად საუბრობდნენ მათი სკოლის შესახებ.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ ჰკითხა ასევე ექსპერტთა ჯგუფის წევრს, ნელი ნასყიდაშვილს, გამოეხატა თავისი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით. ექსპერტმა ისაუბრა საპატრიარქოს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, რომელიც სკოლაში გაიმართა და ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგს დაემთხვა. შეხვედრაზე ერთ-ერთი მოსწავლე ცდილობდა შეხვედრის მიმდინარეობა გადაეღო მობილური ტელეფონით, რაზეც საკმაოდ უარყოფითი რეაქცია ჰქონდა საპატრიარქოს წარმომადგენელს და მთელ აუდიტორიას. ამის გამო ბავშვი იძულებული გახდა ახსნა-განმარტებები გაეკეთებინა ვიდეო-გადაღების შესახებ. საპატრიარქოს წარმომადგენელმა, მამა იოანემ ეს შემთხვევა ასე განმარტა. მან უბრალოდ სცადა, მოსწავლისთვის აეხსნა, რომ ვიდეოს გადაღება მხოლოდ მასთან წინასწარ შეთანხმებით შეიძლებოდა და ფარულად გადაღება იყო მათი შეურაცხყოფა.

საბჭოს წევრის აზრით, მოსწავლის მიერ შეხვედრის გადაღება პრობლემა არ უნდა ყოფილიყო, რაც საპატრიარქოს წარმომადგენელმა არ გაიზიარა. ექსპერტი ნელი ნასყიდაშვილი აღნიშნულ მოსწავლეს მოგვიანებით ვიზიტის დროს გაესაუბრა და ჰკითხა, რატომ დატოვა მან შეხვედრის დროს აუდიტორია. მისი განმარტებით, ის გავიდა შეხვედრიდან, რადგან მთელი აუდიტორია მას დაუპირისპირდა.

საბჭოს წევრი დაინტერესდა იმით, თუ რა კითხვა დასვა ამ მოსწავლემ შეხვედრაზე. ექსპერტის განმარტებით, მას აინტერესებდა, რატომ არ შეხვდა მოსწავლეებს საპატრიარქოს წარმომადგენელი მასმედიაში ინფორმაციის გავრცელებიდან დაუყონებლივ. ექსპერტის, ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, მოსწავლე იღებდა ფარულად ვიდეოს იმ მიზეზით, რომ მას ჰქონოდა რეალური მასალა, რათა მედიას კიდევ ერთხელ არ დაემახინჯებინა მომხდარი ფაქტები.

საპატრიარქოს წარმომადგენელის განმარტებით, მან მისცა შენიშვნა ამ მოსწავლეს, იმიტომ, რომ მას არ უთქვამს ვიდუო გადაღების შესახებ. შენიშვნის მიღების შემდეგ, ის ადგა და დარბაზიდან გავიდა. საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ აღნიშნა, რომ რთული იყო დასკვნის გამოტანა მომხდართან დაკავშირებით, რადგან ექსპერტებსაც განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ. საბჭოს წევრის რევაზ აფხაზავას განმარტებით, რადგან ექსპერტებს არ ჰქონდათ შეთანხმებული პოზიცია, რთული იყო საკითხში არსებითად გარკვევა.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ ამასთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება. მისი აზრით, დასკვნაში მოცემულ ინფორმაციას სამივე ექსპერტი იზიარებდა, თუმცა მათ სხვადასხვა მოსაზრებები ჰქონდათ გარკვეულ საკითხებთან მიმართებით. მან ხაზი გაუსვა ასევე მეორე მოსწავლის გამოსვლას საპატრიარქოს წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე. ნოდარ ანგურიძის განმარტებით, მოსწავლე საუბრობდა იმაზე, რომ სკოლაში მსგავსი ფიზიკური დასჯის ფაქტს ადგილი არ ჰქონია და პრეტენზია გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რატომ არავინ არ ჰკითხა მოსწავლეებს აღნიშნული ფაქტის შესახებ. ამასთან ერთად, მოსწავლეები და მასწავლებლები გამოხატავდნენ დიდ პატივისცემას მამა ვახტანგის მიმართ, რომელიც ინცინდენტის დროს ატარებდა მოძღვრის საათს და არ მოსწონდათ ის ფაქტი, რომ ეს მოძღვარი გაათავისუფლეს.

საბჭოს წევრის, რევაზ აფხაზავას განმარტებით, საბჭოს მოვალეობაა შეაფასოს მომხდარი ფაქტი, არ აქვს იმას მნიშვნელობა ეს ხუმრობით მოხდა თუ სერიოზულად. ამიტომაც არსებობს სტანდარტები და ეს ფაქტი სტანდარტის დარღვევა იყო.

სკოლის დირექტორის მოადგილის განმარტებით - სკოლა ზრუნავს ბავშვების სულიერ მდგომარეობაზე. სკოლას ჰყავს სამი მოძღვარი, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ. მათთან მოსწავლეები ადვილად იხსენიებენ და საუბრობენ სხვადასხვა საკითხებზე, ამიტომ არ სჭირდება სკოლას მანდატური, წესრიგის დასამყარებლად. სკოლის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ მოსწავლე ღიად დაელაპარაკებოდა ინცინდენტის შესახებ მამა ვახტანგს.

საბჭოს თავმჯდომარემ ირინა აბულაძემ გააკეთა დამატებითი განმარტება სკოლაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. ბოლო დროს იყო შემთხვევები, რომ სკოლის მოსწავლეებმა თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე იმის გამო, რომ მათ შეურაცხყოფა მიაყენეს საჯაროდ. ამიტომ საჭიროა, სკოლაში იყოს უსაფრთხო გარემო და არსებობდეს მსგავსი ფაქტების პრევენციის მექანიზმები. საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ ყურადღება გაამახვილა ასევე დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამებში აღმოჩენილ ხარვეზებზე. საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, იყო თუ არა ეს ხარვეზები აღმოჩენილი ბოლო ავტორიზაციის დროს. აღნიშნულმა დაწესებულებამ ავტორიზაცია გაიარა 2015 წლის აგვისტოში. ექსპერტის, ნოდარ ანგურიძის განმარტებით. მასწავლებლებმა გასაუბრებზე აღნიშნეს, რომ დაწყებით კლასებში მათ ჰქონდათ განმსაზღვრელი შეფასება, 1, 2 და 3 ხარისხის ჩათვლების სახით.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ კითხვით მიმართა სკოლის სასწავლო ნაწილს და დაინტერესდა იმით, ამოწმებდა თუ არა მასწავლებლებს. სასწავლო ნაწილის განმარტებით, ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო, მას არ ჰქონდა მასწავლებლების შემოწმების საშუალება.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარვეზების განხილვის შემდეგ საბჭო დაინტერესდა მატერიალური რესურსების მდგომარეობით. ექსპერტთა განმარტებით, სკოლას არ ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი, რაც ვიზიტის შემდეგ გამოსწორდა და სკოლაში წარმოადგინა ამის მტკიცებულება.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 19:30 საათზე
სხდომა განახლდა 19:40 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრა:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის (ს/კ: 237113075) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული შემთხვევის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭირო იქნება სასწავლო წლის განხორციელდეს განმეორებითი მონიტორინგი სკოლაში. სკოლამ ცოტა ხნის წინ გაიარა ავტორიზაცია, თუმცა ხარვეზები ისევ ფიქსირდებოდა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რომ მომავალში მონიტორინგის დასკვნა იყოს ექსპერტების ერთიანი შეხედულება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომა დახურულად გამოცხადდა 19:50 საათზე.

თავმჯდომარე
ირინა აბულაძე

რევაზ აფხაზავა

მდივანი
თამარ ფხალაძე